Bakhvi HPP

შპს „სი-სი-ი-ეჩ ჰაიდრო VI”

კორპორატიული მმართველობის სახელმძღვანელო

დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

2025

სარჩევი

1. შესავალი 4
2. მმართველობის სახელმძღვანელოს მიზანი 4
3. მმართველობა – მმართველი ორგანო 6
3.1 პარტნიორთა საერთო კრება („საერთო კრება“) 6
3.2 მმართველობა - სამეთვალყურეო საბჭო 7
3.3 სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია 11
3.4 სტრუქტურული დამოუკიდებლობა 12
3.5 სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვნების პოლიტიკა 13
3.6 კომპანიის დირექტორი 14
3.7 კომპანიის მენეჯმენტი 15
4. კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური გასაჯაროება (TFCD) 18
5. მმართველობის სახელმძღვანელოს აღსრულება 20
6. მმართველობის სახელმძღვანელოს ყოველწლიური გადახედვის პროცესი 20
7. დანართი #1. სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვნების პოლიტიკა 21

აბრევიატურები

აბრევიატურა	განმარტება
სახელმძღვანელო	მმართველობის სახელმძღვანელო
საბჭო	დირექტორთა საბჭო
კომპანია	შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI
პროექტი	ბახვი 1 ჰესი
მენეჯმენტი	პოზიციების ნუსხა, რომელიც კოლექტიურად მოიცავს მენეჯმენტს: • დირექტორი • ტექნიკური დირექტორი • გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი • ფინანსური მენეჯერი
CCEH	კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი
მგვტ	მეგავატი

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"
კორპორატიული მმართველობის სახელმძღვანელო

1. შესავალი

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" (შემდგომში - „კომპანია") გურიის რეგიონში, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ მდინარე ბახვისწყალზე ახორციელებს ჯამური 10.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1" ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს. კომპანიის ინვესტორები არიან „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი" (სი-სი-ი-ეიჩ), ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი" და სხვა სპეციალიზებული ინვესტორები ავსტრიიდან და საქართველოდან. „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის" ინვესტორები კი თავის მხრივ, არიან ცნობილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამერიკიდან და ევროპული ქვეყნებიდან (მათ შორის - ევროპის საინვესტიციო ბანკი [EIB], ჰოლანდიის განვითარების ბანკი [FMO], ავსტრიის განვითარების ბანკი [OeEB] და სხვა). აღსანიშნავია, რომ ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი" ფლობს მრავალფეროვან ბიზნეს პორტფელს რამდენიმე დასავლურ ქვეყანაში.

ბახვი 1 ჰესის პროექტის განხორციელება დაგეგმილია გურიის რეგიონში, კერძოდ: ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მდ.ბახვისწყლის 1 735 და 1 383 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მდ.ბახვისწყლის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის მშენებლობა, რომლის შემადგენლობაში იქნება სათავე ნაგებობა, სადაწნეო მილსადენი და მიწისზედა ჰესის შენობა. ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება 10.9 მგვტ, ხოლო საპროექტო ხარჯი - 4მ3/წმ. სათავე ნაგებობა განთავსდება მდ.ბახვისწყლისა და მდ.ბაისურას ღელეს შესართავიდან 250 მ-ით ქვემოთ. შეტბორვის დონე იქნება ზღვის დონიდან 1731.70 მ, ხოლო ჰესის შენობის ქვედა ბიეფის ნიშნული ზღვის დონიდან იქნება 1383.0 მ. სათავე ნაგებობის განთავსების გეოგრაფიული კოორდინატებია X=275290; Y=4638195, ხოლო ჰესის შენობის განთავსების ტერიტორიის - X=272279; Y=4639129.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" საკუთარ საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების IFC-ისა და EIB-ის მიერ დადგენილი გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.

2. მმართველობის სახელმძღვანელოს მიზანი

მმართველობის სახელმძღვანელო (სახელმძღვანელო) წარმოადგენს მართვის ძირითად ჩარჩოს და უზრუნველყოფს:

- რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას.
- როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრას მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის.
- მმართველობის საუკეთესო პრაქტიკას, გადაწყვეტილებების ინფორმირებულად მიღების პროცესს, ანგარიშვალდებულების გაძლიერებასა და ინტერესთა კონფლიქტის შემცირებას.
- სამომავლო გაურკვევლობების და გაუთვალისწინებელი მოვლენების ალბათობის შემცირებას, გაძლიერებული კონტროლისა და დაბალანსების მექანიზმების დანერგვის გზით.
- შეთანხმებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, მოქმედების საუკეთესო კურსის განსაზღვრას.

- პროექტის განვითარების თითოეულ ეტაპზე, ტექნიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის, ფინანსური და იურიდიული საკითხების დეტალურ მოკვლევას.
- წარმოებული ანგარიშებისა და ჩანაწერების სტანდარტიზაციას, სიზუსტესა და სანდოობას.

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია ამ სახელმძღვანელოს აღსრულებაზე, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო ან/და მისი კომიტეტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უზრუნველყოფს მის ეფექტიან ზედამხედველობას.

საკუთრების სტრუქტურა

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომელიც ფლობს და ოპერირებას უწევს ბახვი 1 ჰესს. კომპანიის საკუთრების სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქციონერები	მფლობელობის წილი %
შპს ბახვი 1 - ჰოლდინგური კომპანია	56.67%
სააქციო საზოგადოება, ინდუსტრიილიგენშაფთენფერვალთუნგ	37.33%
შპს ჰანს ჰოლდინგი	1.99%
ინჟ. ვერნერ პანჰაუზერი	1.99%
ტარას ნიჟარაძე	1.99%

მოცემული სტრუქტურა ასახავს ძლიერ საინვესტიციო პარტნიორობას, რომელიც აერთიანებს გამოცდილებას განახლებადი ენერგიის განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მდგრადი პრინციპებით მართვაში.

გამჭვირვალობა და მცირე წილის მქონე აქციონერების დაცვის მექანიზმი

- შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-თვის გამჭვირვალობა და სამართლიანობა უმთავრეს პრინციპებს წარმოადგენს. კომპანია რეგულარულად ასაჯაროებს ფინანსურ და ოპერირების ანგარიშებს, რაც უზრუნველყოფს ყველა ინვესტორის ინფორმირებულობას ჰესის ფუნქციონირების შესახებ.
- მცირე წილის მქონე აქციონერების დაცვის ძირითადი მექანიზმებია:
  - ინფორმაციის ხელმისაწვდომობა – ყველა აქციონერს მიეწოდება კომპანიის ფინანსური და მმართველობის გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია.
  - სამართლებრივი დაცვა – კომპანია ემორჩილება კორპორაციული მართვის სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს ყველა ინვესტორის ინტერესების დაცვას თანაბარი პირობებით.

შესაბამისობა და რეგულირების ჩარჩო

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან. კომპანია ვალდებულია:

- დაიცვას საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონი, რათა უზრუნველყოს მმართველობის ეთიკური და სამართლებრივი სტანდარტების დაცვა.
- განახორციელოს წლიური ფინანსური აუდიტი დამოუკიდებელი მესამე მხარის აუდიტორების მიერ.

- საჭიროების შემთხვევაში ან ინვესტორების მოთხოვნის საფუძველზე, განახორციელოს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის აუდიტი დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ.

კომპანია გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის მეშვეობით ქმნის ინვესტორებისათვის მისაღებ გარემოს, რაც განაპირობებს გრძელვადიან სტაბილურობასა და მდგრად განვითარებას.

3. მმართველობა – მმართველი ორგანო

3.1 პარტნიორთა საერთო კრება („საერთო კრება“)

საერთო კრება წარმოადგენს კომპანიის უმაღლეს მმართველ ორგანოს. საერთო კრება უნდა ჩატარდეს სულ მცირე წელიწადში ერთხელ კომპანიის იურიდიულ მისამართზე, ან სხვა ლოკაციაზე. საერთო კრების მოწვევა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორის, ან „ა“ კლასის წილის პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ფლობს სულ მცირე 5%-იან წილს განთავსებულ კაპიტალში.

საერთო კრება უფლებამოსილია წარმოდგენილ წევრთა ნახევარზე მეტი ხმის თანხმობით მიიღოს გადაწყვეტილებები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „მეწარმეთა შესახებ კანონით“ განსაზღვრულია უფრო მაღალი უმრავლესობა:

- კაპიტალში პარტნიორის წილის შეტანის ვადებისა და ფორმის განსაზღვრა და/ან წილის შეტანის მოთხოვნის წარდგენა;
- გადაწყვეტილების მიღება დირექტორების წინააღმდეგ სასამართლოში პროცესის დაწყების შესახებ და კომპანიის სახელით საქმისწარმოებაში მოქმედი წარმომადგენლის დანიშვნა;
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წარმოდგენილი მოგების განაწილების წინადადების დამტკიცება, ან უარყოფა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება დივიდენდების განაწილებისა, თუ გადახდის თაობზე;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა, ან გათავისუფლება;
- გადაწყვეტილების მიღება იმ გარიგებების დამტკიცების შესახებ, რომელთა ღირებულება აჭარბებს 1,000,000 ამერიკულ დოლარს.

საერთო კრება უფლებამოსილია „ა“ კლასის წილის პარტნიორთა ხმათა სულ მცირე 80%-ის თანხმობით მიიღოს გადაწყვეტილებები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფრო მაღალი უმრავლესობა მოითხოვება „მეწარმეთა შესახებ კანონით“:

- კაპიტალის სტრუქტურის ცვლილებები; მათ შორის, კომპანიის გასაცემი კაპიტალის ცვლილება; სხვადასხვა კლასის აქციების შექმნა; კომპანიის რომელიმე კლასის აქციებთან დაკავშირებული უფლებების ცვლილება;
- აღმასრულებელ დირექტორებთან და უმაღლესი რგოლის მენეჯმენტთან ხელშეკრულებების გაფორმება, ცვლილება ან შეწყვეტა. ასევე ისეთი გარიგებების განხორციელება, რომლებიც არ არის დამტკიცებული წლიური ბიუჯეტით;
- წლიური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება, დივიდენდური პოლიტიკის შეცვლა, დირექტორთა და საჭიროების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გათავისუფლება;
- კომპანიის ქონების სრულად, ან არსებითად მთელი წილის გაყიდვა, იჯარით გადაცემა, ან სხვა ფორმით განკარგვა;

- იმ გარიგებების დამტკიცება, რომლის ღირებულებაც აღემატება კომპანიის აქტივების ბალანსური ღირებულების 50%-ს, გასული ფინანსური წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- კომპანიის ლიკვიდაცია, ან რეორგანიზაცია.

3.2 მმართველობა - სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს დაბალანსებულ და დამოუკიდებელ სტრუქტურას, რომელიც ეფუძნება კორპორაციული მმართველობის უმაღლეს პრინციპებს.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა რეგულარულად გადაიხედება, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპეტენციების, გამოცდილებისა და უნარების მრავალფეროვნება. აღნიშნული მოიცავს ფინანსური, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის, ოპერაციული და რისკების მართვის დაბალანსებულ და სრულყოფილ ექსპერტიზას.

კომპანიის წესდების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო შედგება არაუმეტეს ხუთი (5) წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევენ პარტნიორები საერთო კრებაზე სამი (3) წლის ვადით. ნებისმიერი წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, მისი უფლებამოსილება გაგრძელდება ახალი წევრის არჩევამდე. ნომინირებული პირის გადადგომის, პენსიაზე გასვლის ან თანამდებობის დატოვების შემთხვევაში, შესაბამის პარტნიორს (პარტნიორებს) აქვს უფლებამოსილება, დანიშნოს სხვა პირი. პარტნიორები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ აღნიშნული ნომინირებული პირის დაუყოვნებლივი დანიშვნა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის სტატუსის რატიფიცირება.

პარტნიორები ვალდებულნი არიან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი დანიშნონ მოცემულ ვაკანსიასთან პირის შესაბამისობის საფუძველზე, საერთო კრების დროს. კანდიდატის არჩევა არ უნდა ეფუძნებოდეს რასას, კანის ფერს, ეთნიკურ ან ეროვნულ წარმომავლობას, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსს, ასაკს, გენდერს (მათ შორის ორსულობას), ოჯახურ მდგომარეობას ან სექსუალურ ორიენტაციას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვალდებულია სრულად დაიცვას ორგანიზაციის თანასწორი შესაძლებლობების პოლიტიკა.

სამეთვალყურეო საბჭოს მანდატი

სამეთვალყურეო საბჭო, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს მმართველობით ფუნქციებს და მკაფიოდ განსაზღვრავს, როგორც საკუთარი კომპეტენციის, ასევე მენეჯმენტის უფლებამოსილებისა და მოვალეობების არეალს.

სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქცია გულისხმობს კომპანიის საქმიანობისა და შიდა მმართველობის მონიტორინგს, კონტროლსა და შეფასებას, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ისა და მისი პარტნიორების საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიური ოპერირების მართვასა და ზედამხედველობაზე. მენეჯმენტი პასუხისმგებელია კორპორაციული სტრატეგიული გეგმის მომზადებაზე და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, აღნიშული გეგმის დამტკიცების შემდეგ, მის შესაბამის აღსრულებაზე.

საბჭო იღებს და ამტკიცებს ყველა იმ საკითხს, რომელიც მისი იურისდიქციის ფარგლებში შედის და განისაზღვრება მოცემული სახელმძღვანელოთი, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონმდებლობით, მოქმედი საკანონმდებლო აქტებითა და კომპანიის წესდებით.

საბჭოს შეუძლია, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, საკუთარი უფლებამოსილების ნაწილი გადასცეს შესაბამის კომიტეტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შესაბამისი კომიტეტების არსებობის შემთხვეაში, მის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები ასევე ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს საბოლოო დამტკიცებას.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება თვეში ერთხელ. მომავალი სხდომის თარიღი თანხმდება მიმდინარე სხდომაზე. საბჭოს სხდომაზე განიხილება პრეზენტაცია, რომელიც ასახავს ანგარიშგების სრულ პერიოდს. განსახილველი პრეზენტაცია საბჭოს წევრებს ეგზავნებათ სხდომამდე არაუგვიანეს 5 დღისა.

<u>საბჭოს პრეზენტაციის შინაარსი:</u>
სამეთვალყურეო საბჭოს სხდომისთვის პრეზენტაციას ამზადებს პროექტის გუნდი. პრეზენტაცია უნდა ასახავდეს ანგარიშგების პერიოდის განმავლობაში მიღწეულ პროგრესს და უნდა მოიცავდეს:

- ტექნიკურ, გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით, ფინანსურ, კომერციულ, იურიდიულ, ადმინისტრაციულ, შრომის უსაფრთხოების და ადამიანური რესურსების მიმართულებით ძირითად საკითხებს ანგარიშგების პერიოდისათვის.
- პროექტის განვითარების გეგმას, კრიტიკულ ეტაპებსა და მნიშვნელოვან საკითხებზე განსაკუთრებული აქცენტით.
- ყველაზე კრიტიკულ ასპექტების სიღრმისეული წარმოჩენა.
- პოტენციური რისკებისა და მათი შემარბილებელი ღონისძიებების დეტალურ ანალიზს.
- პრეზენტაცია ასევე შესაძლოა მოიცავდეს სიახლეებს მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, რომლებიც მოხდა ანგარიშგების პერიოდამდე, თუმცა გავლენას მოახდენს მიმდინარე ან მომავალ პერიოდზე.

სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია სხდომის გარკვეული წევრების, მათ შორის საბჭოს ან მენეჯმენტის წარმომადგენლების დათხოვნა სხდომის პროცესიდან. ასეთი გადაწყვეტილება მოიცავს წევრის სრულად ან ნაწილობრივ დათხოვნას სხდომიდან, თუკი არსებობს ინტერესთა კონფლიქტის რისკი, ან საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს ასეთ გადაწყვეტილებას.

მეურვეობის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭო კონსულტაციებს უწევს მენეჯმენტს მნიშვნელოვან ბიზნეს საკითხებზე და აქვს შემდეგი პასუხისმგებლობები:

A. სტრატეგია

- შპს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ის რისკებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, სტრატეგიული დაგეგმარების პროცესისა და სტრატეგიული გეგმის დამტკიცება. აღნიშნული გეგმის განხორციელების მონიტორინგის პასუხისმგებლობა ეკისრება მენეჯმენტის გუნდს.

B. კორპორაციული პასუხისმგებლობა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის ასპექტები

- გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, კლიმატთან დაკავშირებული რისკების, ემისიების შემცირების სტრატეგიებისა და პასუხისმგებელიანი ბიზნეს პრაქტიკების დანერგვა და ზედამხედველობა.
- შპს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ის სტრატეგიის, საქმიანობის ეფექტიანობისა და რისკების შეფასება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების შესაბამისად, მათ შორის, რესურსების ეთიკური მართვის, დაინტერესებული

მხარეების ინტერესების დაცვისა და აქციონერთა ღირებულების ზრდის უზრუნველყოფის კუთხით.

- შპს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის კორპორაციული პასუხისმგებლობის გეგმისა და მისი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პრინციპების მიმართ მიდგომის განხილვა და დამტკიცება, ასევე აღნიშნული პრინციპების კომპანიის საქმიანობისა და ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სრულფასოვანი ინტეგრაციის უზრუნველყოფა.
- შპს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პოლიტიკის, დანერგილი პრაქტიკებისა და კომუნიკაციის სტრატეგიის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და მიზნების ეფექტიანი მიღწევა.

C. ფინანსური საკითხები, რისკების მართვა და შიდა კონტროლის მექანიზმები

- უზრუნველყოს შპს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების იდენტიფიკაცია და აღნიშნული რისკების მართვის მიზნით დანერგოს შეფასებისა და კონტროლის მექანიზმები. უზრუნველყოს იმ რისკების მონიტორინგი, რომლებიც შედის სამეთვალყურეო საბჭოს მანდატში და უზრუნველყოს მათი მართვისათვის შესაბამისი ქმედითი გეგმების შემუშავება და განხორციელება.
- დაამტკიცოს და პერიოდულად განიხილოს იმ ძირითადი რისკების ზღვრები, რომელიც ოპერირების თანმდევ პროცესს წარმოადგენს.
- უზრუნველყოს, რომ რისკების მართვის ჩარჩო და პროცესები ითვალისწინებს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ასპექტებს.
- უზრუნველყოს, მენეჯმენტის მიერ წარმოებულ რისკების მართვის ანგარიშის გადახედვა ყოველწლიურად, მინიმუმ წელიწადში ერთხელ.
- უზრუნველყოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შიდა კონტროლი. აგრეთვე უზრუნველყოს გამჭვირვალობა და შესაბამისი პროცედურების ეფექტიანობის დადგენა.
- შეიმუშაოს და დანერგოს მექანიზმი შპს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღებისა და შესაბამისი განხილვის უზრუნველსაყოფად.
- უზრუნველყოს წლიური კაპიტალური და ოპერაციული ბიუჯეტის დამტკიცება, ფასიანი ქაღალდების გამოშვება, ასევე ყველა არსებითი ტრანზაქცია, რომელიც სცდება კომპანიის ჩვეულ ბიზნეს საქმიანობის ფარგლებს, მოქმედი პოლიტიკის შესაბამისად.
- დაამტკიცოს წლიური და შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და შესაბამისი დოკუმენტები, მათ შორის ნებისმიერი სხვა მასალა, რომელიც დაკავშირებულია უწყვეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფასთან.

<u>რისკების მართვის პროცედურა</u>

- რისკების მართვა წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს, კომპანიის დირექტორისა და მენეჯმენტის გუნდის პირდაპირ ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულება გულისხმობს დანაკარგების პრევენციის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვასა და უზრუნველყოფას.

- დანაკარგების პრევენცია გულისხმობს ღონისძიებების გატარებას, რათა შემცირდეს ზარალის დადგომის ალბათობა.
- დანაკარგების შემცირება კი მოიცავს ზომების მიღებას, რათა ზარალის დადგომის შემთხვევაში შემცირდეს მისი მასშტაბი.

ქვემოთ წარმოდგენილი რისკების მართვის მატრიცა ასახავს კომპანიის რისკის ტოლერანტობის დონეს, რომელიც განისაზღვრება რისკის სიხშირისა და სიმძიმის მიხედვით. აღნიშნული მატრიცა გამოიყენება შემდეგი გადაწყვეტილებების მისაღებად:

- როდის არის მიზანშეწონილი რისკის აღება (შენარჩუნება);
- როდის არის უკეთესი რისკის პოტენციური მასშტაბის (ან სიმძიმის) შემცირება;
- როდის არის მიზანშეწონილი რისკის გადამისამართება (გადაცემა).

რისკების მართვის მატრიცა		
დანაკარგის მახასიათებლები	მაღალი სიხშირე	დაბალი სიხშირე
მაღალი სიმძიმე	რისკის არიდება	რისკის გადამისამართება (დაზღვევა)
დაბალი სიმძიმე	რისკის შემცირება	რისკის აღება

- **რისკის არიდება** გულისხმობს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მთლიანად გამორიცხავს ზარალის გამომწვევი მოვლენის წარმოშობის შესაძლებლობას.
- **რისკის გადამისამართება (დაზღვევა)** გულისხმობს რისკის გადამისამართებას მესამე მხარეზე, მათ შორის სადაზღვევო კომპანიებზე, როდესაც პროექტისთვის რისკის დონე მეტისმეტად მაღალია.
- **რისკის შემცირება** გულისხმობს მცირე მასშტაბის რისკების მართვას, რომლებიც არ წარმოადგენენ არსებითად მნიშვნელოვან მუქარას და არ იწვევს მატერიალურად უარყოფით შედეგებს (მაგ., თვითდაზღვევა).
- **რისკის აღება** გამოიყენება მაშინ, როდესაც რისკი აშკარად არ აღემატება მატერიალურად მნიშვნელოვან ზღვარს და მისი აღიარება და მართვა შესაძლებელია კომპანიის ჩვეული საქმიანობის ფარგლებში, დამატებითი ზომების გატარების გარეშე.

კონკრეტული შემთხვევის საჭიროებების ანალიზი უნდა განხორციელდეს მოვლენის კლასიფიკაციის მიზნით, ხოლო მისი მასშტაბი ან სიმძიმე უნდა შემცირდეს იმ დონემდე, სადაც მოსალოდნელი ხარჯი შეესაბამება მოსალოდნელ სარგებელს.

ზოგადი პრინციპების თანახმად, რისკის შემარბილებელი ღონისძიებებით მიღებული სარგებელი უნდა აჭარბებდეს კონკრეტული მოვლენის შედეგად მოსალოდნელ ხარჯს ან პოტენციურ ზიანს.

D. ადამიანური რესურსები და განგრძობითობის გეგმა

- მენეჯმენტის შერჩევა, მისი საქმიანობის შეფასების, ანაზღაურებისა და დასაქმების პირობების განსაზღვრა, სამეთვალყურეო საბჭოს სტრატეგიულ მიზნებსა და მოლოდინებთან შესაბამისობაში.
- მენეჯმენტისთვის საჭირო უნარების განვითარების და გადამზადების პროცესის უზრუნველყოფა. აგრეთვე, მმართველობის გრძელვადიანი დაგეგმვა, მისი მდგრადობისა და განგრძობითობის უზრუნველსაყოფად.

E. მმართველობა

- უზრუნველყოს, რომ სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი კომიტეტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ზომა და შემადგენლობა ხელს უწყობს ეფექტიან მმართველობას და კარგად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას.
- უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს კანდიდატების შერჩევისა და დამტკიცების პროცესი, რათა აქციონერებს მიეცეთ შესაძლებლობა შეავსონ ვაკანტური პოზიციები.
- უზრუნველყოს, რომ შპს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის დირექტორი და მენეჯმენტის სხვა წევრები მკაცრად იცავენ ეთიკის პრინციპებს და ხელს უწყობენ სამართლიანობისა და გამჭვირვალობის კულტურის ჩამოყალიბებას კომპანიაში.
- ჩამოაყალიბოს მმართველობის გრძელვადიანი სტრატეგია და უზრუნველყოს მმართველობის ძირითადი პრინციპებისა და ინდუსტრიის კარგი პრაქტიკის დანერგვა. საჭიროების შემთხვევაში, განიხილოს და განაახლოს შპს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, კომპანიის მმართველობის სტანდარტებისა და მოთხოვნების სრულ შესაბამისობამდე.
- შეიმუშავოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრებისთვის საბჭოს მუშაობის გაცნობითი პროგრამა და უზრუნველყოს საბჭოს ყველა წევრისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა შპს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს შესაბამისად.
- განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების როლები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები, მათ შორის სხდომებზე დასწრება და დროისა და ძალისხმევის სათანადო გამოყოფა, როგორც საბჭოს, ასევე მისი კომიტეტების წევრებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- უზრუნველყოს კომპანიის უმაღლესი ეთიკური სტანდარტების დაცვა და, საჭიროების შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის გადახედვა. აღნიშნული კოდექსი ვრცელდება კომპანიის ყველა თანამშრომელზე, მათ შორის მუდმივ, დროებით, ხელშეკრულებით, სრული ან ნახევარ განაკვეთით დასაქმებულ პირებზე, ასევე ხელმძღვანელ პირებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე.

F. გარემოს დაცვა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

- უზრუნველყოფს შპს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის გარემოსდაცვითი და პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკასთან შესაბამისობის მონიტორინგს.
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, უფლებამოსილების შესრულებისას, ვალდებულნი არიან იმოქმედონ პატიოსნად, კეთილსინდისიერად, კომპანიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. გადაწყვეტილების მიღებისას გამოიჩინონ სათანადო სიფრთხილე, გულმოდგინება და პროფესიული კომპეტენცია, რომელიც გონივრულ და კეთილსინდისიერ პირს მოეთხოვება ანალოგიურ ვითარებაში.

სამეთვალყურეო საბჭო, გადახედავს საკუთარი მანდატის ადეკვატურობასა და შესაბამისობას წელიწადში ერთხელ.

3.3 სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია

კორპორაციული მართვის წარმატებისა და ეფექტიანობის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაა, რაც აუცილებელი პირობაა მიუკერძოებელი ზედამხედველობისა და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღებისთვის. შესაბამისად, იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციის ყველა დაინტერესებული მხარის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

ამრიგად, დირექტორების დამოუკიდებლობის შესაფასებლად დამყარებულია მკაცრი კრიტერიუმები, კერძოდ:

- სამუშაო გამოცდილება: დირექტორს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კომპანიაში არ უნდა ჰქონდეს დაკავებული აღმასრულებელი თანამდებობა.
- ოჯახის წევრები და დასაქმება: დირექტორი არ უნდა იყოს ნათესაური კავშირით დაკავშირებული კომპანიაში ან მის მაკონტროლებელ ან შვილობილ ერთეულებში მოქმედ არც ერთ აღმასრულებელ თანამდებობის პირთან.
- კლიენტთან ან მომწოდებელთან კავშირი: დირექტორს არ უნდა ჰქონდეს რაიმე სახის კავშირი კომპანიის მნიშვნელოვან კლიენტთან ან მომწოდებელთან.
- არაკომერციულ ორგანიზაციასთან კავშირი: დირექტორი არ უნდა იყოს დაკავშირებული არაკომერციულ ორგანიზაციასთან, რომლებიც კომპანიისგან არსებით ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ.
- სხვა ინტერესთა კონფლიქტები: დირექტორს არ უნდა ჰქონდეს რაიმე სხვა სახის ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც საბჭოს მიერ შეუთავსებლად ჩაითვლება დამოუკიდებელი სტატუსის შენარჩუნებისთვის.

3.4 სტრუქტურული დამოუკიდებლობა

ორგანიზაციული სტრუქტურა



მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მიმართულებას ჰყავს საკუთარი მენეჯერი ან ხელმძღვანელი, მათი საქმიანობა ასევე რეგულარულად მოწმდება, როგორც მესამე მხარის აუდიტის, ასევე მენეჯმენტის მიერ.

- ტექნიკური და შრომის უსაფრთხოების გუნდი – აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდი ატარებს შიდა ინსპექციებს, რათა უზრუნველყოს აქტივის ოპერატიულობა, ეფექტიანი ფუნქციონირება და შრომის უსაფრთხოების ყველა მოთხოვნის ზედმიწევნით დაცვა.

- ფინანსური გუნდი – ყოველწლიურად ტარდება ფინანსური აუდიტი, რომელსაც უზრუნველყოფს მსოფლიოში წამყვანი ოთხი აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი.
- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის გუნდი – გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის აუდიტს ახორციელებს დამოუკიდებელი აუდიტორი, ხოლო რეგულარულ მონიტორინგს, თავის მხრივ უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და მდგრადობის ხელმძღვანელი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ ფიგურირებენ მენეჯმენტის გუნდში, რაც უზრუნველყოფს როლების მკაფიო გამიჯვნას, სადაც დირექტორისა და საბჭოს თავმჯდომარის/საბჭოს წევრის ფუნქციები ერთმანეთისგან სრულად დამოუკიდებელია. აღსანიშნავია, რომ კომპანიის დირექტორი, საბჭოს წარუდგენს გადაწყვეტილებებს, რომელთა დამტკიცება ან უარყოფა სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას წარმოადგენს.

3.5 სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვნების პოლიტიკა

კომპანიამ დანერგა სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვნების პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია წარადგინოს კანდიდატები გენერალურ კრებაზე. კანდიდატების შეფასების პროცესში კრება ხელმძღვანელობს ობიექტური კრიტერიუმებით და ამავდროულად ითვალისწინებს საბჭოს შემადგენლობის მრავალფეროვნების მნიშვნელობას. ეს გულისხმობს ისეთი პირების შერჩევას, რომლებიც კომპანიის ოპერირების არეალში არსებულ საზოგადოებებს უკეთ წარმოაჩენენ და უზრუნველყოფს უფრო წარმომადგენლობით და ინკლუზიურ მმართველობას.

მრავალფეროვნების შეფასებისას გათვალისწინებულია, თუმცა არ შემოიფარგლება, ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: გენდერი, ასაკი და წარმომავლობის ადგილი. კანდიდატთა შერჩევის პროცესის დასაწყისშივე განიხილება ქალები და სხვა ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. საბჭოს მრავალფეროვნების პოლიტიკის დეტალური მიმოხილვა მოცემულია დანართი #1. სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვნების პოლიტიკა

<u>საბჭოს თავმჯდომარის როლი</u>

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ნიშნავს საბჭო. მისი ძირითადი პასუხისმგებლობაა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა უზრუნველყოს საბჭოს მიერ საკუთარი ფუნქციებისა და ვალდებულებების ეფექტიანად შესრულება. გარდა ამისა, თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის ფუნქციებს შორის პასუხისმგებლობის ზღვარი მკაფიოდ არის დაწესებული, სწორად აღქმული და სათანადოდ დაცული.

საბჭოს თავმჯდომარის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შემდეგს:

A. ლიდერობა და საბჭოს ეფექტიანობა

- იღებს ყველა გონივრულ ზომას, რათა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონირება როგორც ერთიანი და კოორდინირებული ორგანო.

- იღებს ყველა გონივრულ ზომას, რათა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს ხელმისაწვდომობა შესაბამის და საკმარის რესურსებზე, რომლებიც საშუალებას მისცემს მას ეფექტიანად შეასრულოს საკუთარი ფუნქციები.

B. სამეთვალყურეო საბჭოს მართვა

- თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა კრებას.
- კომპანიის დირექტორთან კონსულტაციის საფუძველზე განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების დღის წესრიგს.
- იღებს ყველა გონივრულ ზომას, რათა საბჭოს სხდომებზე საკმარისი დრო გამოიყოს განსახილველი საკითხების სიღრმისეული და საფუძვლიანი განხილვისთვის.
- ნერგავს სამუშაო მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობასა და ოპერატიულობას.

C. სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის ხარისხი და განგრძობითობის გეგმა

- ავითარებს კომპეტენციების მატრიცას, რათა დაეხმაროს საბჭოს წევრების შერჩევის პროცესს.
- აფასებს სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი კომიტეტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქმიანობას და განიხილავს ახალ კანდიდატთა სიას, რომელიც წარედგინება საბჭოს დასამტკიცებლად.
- საჭიროებისამებრ გადახედავს და განაახლებს შპს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ის მენეჯმენტის აუცილებელი უნარების განვითარების და გადამზადების უწყვეტ პროცესს.

D. კომუნიკაცია სამეთვალყურეო საბჭოსა და კომპანიის მენეჯმენტს შორის

- უზრუნველყოფს კონსტრუქციულ თანამშრომლობას სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტს შორის, კომპანიის დირექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით, რათა წახალისდეს ჯანსაღი მმართველობის კულტურა.

3.6 კომპანიის დირექტორი

<u>დირექტორის როლი</u>

კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება კომპანიის დირექტორის („დირექტორი“) მიერ კომპანიის წესდების შესაბამისად. დირექტორი ვალდებულია, დაიცვას და განახორციელოს პარტნიორთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

- დირექტორის პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:

A. მართვა და ლიდერობა

- მართავს კომპანიის საქმიანობასა და შიდა პროცესებს, უზრუნველყოფს მის ეფექტიან ფუნქციონირებას და მდგრად განვითარებას.
- ავლენს ლიდერობასა და სტრატეგიულ ხედვას კომპანიის მართვის პროცესში, განსაკუთრებით კომპანიის ღირებულებების, მისიის, სტრატეგიული პრიორიტეტებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრასა და განხორციელებაში.
- აკისრია პასუხისმგებლობა მენეჯმენტის პერსონალის შერჩევის, ანაზღაურების განსაზღვრის, საქმიანობის შეფასების, ლიდერობის განვითარების და განგრძობითი დაგეგმვის პროცესზე, სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების შესაბამისად.

- უზრუნველყოფს კომპანიის სამართლებრივი, საბუღალტრო, ეთიკის, გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკასთან შესაბამისობას, რათა შპს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" სრულად შეესაბამებოდეს მოქმედ კანონებსა და რეგულაციებს.
- აყალიბებს და ხელს უწყობს კორპორაციულ კულტურას, რომელიც ეფუძნება ეთიკურ პრინციპებს, კეთილსინდისიერებასა და სოციალური პასუხისმგებლობის მაღალ სტანდარტებს.

B. სტრატეგია

- უზრუნველყოფს შპს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის რესურსების ეფექტიან გამოყენებას, რათა კომპანიამ წარმატებით მიაღწიოს თავის სტრატეგიულ მიზნებს.

C. კომუნიკაცია

- მოქმედებს, როგორც კომპანიის მთავარი წარმომადგენელი, ახორციელებს ეფექტიან კომუნიკაციას ყველა დაინტერესებულ მხარესთან და უზრუნველყოფს, რომ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია ზუსტად, ობიექტურად და სრულად ასახავს კომპანიის ოფიციალურ პოზიციასა და სტრატეგიულ მიმართულებას.

3.7 კომპანიის მენეჯმენტი

მენეჯმენტს ეკისრება მნიშვნელოვანი როლი პროექტის განვითარებაში, სრული უფლებამოსილებით მართოს პროექტი და უხელმძღვანელოს კომპანიის ყოველდღიურ ოპერირების პროცესს. მისი ძირითადი მიზანია პროექტის ეფექტიანი განვითარებისა და აქციონერების ინტერესების მაქსიმალური დაცვა და ოპტიმალური ბალანსის უზრუნველყოფა.

მენეჯმენტი ვალდებულია განახორციელოს რისკების მართვის აუდიტი როგორც პერიოდულად, ასევე საჭიროებისამებრ (ad-hoc რეჟიმში), პროექტის განვითარების ფაზასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასების მიზნით საჭიროების შემთხვევაში, აუდიტის შედეგები უნდა წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს განხილვისთვის. (პროექტთან დაკავშირებული რისკები დეტალურად მოცემულია სექციაში - რისკების მართვის პროცედურა).

მენეჯმენტი ვალდებულია იმოქმედოს კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, როგორც ამას განაპირობებს ფიდუციური ვალდებულება, და აკისრია სრული პასუხისმგებლობა აქციონერების წინაშე.

<u>რისკების მართვის პროცედურა</u>

გარდა ამისა, პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, კომპანიას შესაძლოა შეექმნას შემდეგი რისკები:

- **ბიზნეს რისკი:** ასახავს ოპერირების პროცესში შემოსავლების ცვალებადობას, რომელიც გამოწვეულია, როგორც კომპანიის სპეციფიკური რისკი-ფაქტორებით, ასევე ინდუსტრიული რისკ-ფაქტორებით. აღნიშნული რისკი შეიძლება განიხილოს შემდეგი ძირითადი ასპექტით:
  - **გაყიდვების რისკი –** ასახავს კომპანიის გაყიდვებთან დაკავშირებულ გაურკვევლობას. ჰიდროენერგეტიკის სექტორში ეს რისკი უკავშირდება არახელსაყრელ გენერაციის მოდელებსა და ელექტროენერგიის ფასების მერყეობას, რომელიც განპირობებულია მოთხოვნა-მიწოდების დინამიკით.
  - **კონტრაგენტის (მეორე მხარის) რისკი –** ასახავს იმ ალბათობას, რომ გარიგების ერთ-ერთი მხარე ვერ შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. რადგან

კომპანიის ძირითადი პროდუქტი ელექტროენერგიაა, კომპანია მყიდველისგან მოითხოვს საბანკო გარანტიას და/ან წინასწარი გადახდის სქემას, რათა შეამციროს გაუხდელობუს რისკი და უზრუნველყოს ფინანსური სტაბილურობა.

- **ფინანსური რისკი –** სისტემური რისკი, რომელიც დაკავშირებულია საპროცენტო განაკვეთის მერყეობასთან და მისი ფინანსური ვალდებულებების მართვასთან. საპროცენტო ხარჯი ირიცხება პერიოდულად და მისი გადახდა ძირითად თანხასთან ერთად ხდება. რაც უფრო მაღალია სესხის წილი კომპანიის კაპიტალის სტრუქტურაში, მით უფრო მაღალია კომპანიის ფინანსური რისკი.
  - **გადახდისუნარიანობის რისკი** – აღნიშნული რისკი გულისხმობს პოტენციურ საფრთხეს, რომ ორგანიზაცია ვეღარ შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას ფულადი სახსრების დეფიციტის გამო, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს არასაკმარისი შემოსავლებით, ფინანსური ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობით ან არასათანადო ფულადი ნაკადების მართვით.
- **საბაზრო რისკი** – აქტივების საბაზრო ფასების ცვლილებასთან დაკავშირებული გაურკვევლობა.
- **ლიკვიდობის რისკი** – ზარალის რისკი, როდესაც აქტივის გაყიდვა ხდება ისეთ საბაზრო პირობებში, სადაც გაყიდვის ფასი ნაკლებია აქტივის რეალურ (სამართლიან) საბაზრო ღირებულებაზე.
- **სამშენებლო სამუშაოების გაჭიანურების რისკი**: სამშენებლო სამუშაოების გაჭიანურებას პირდაპირი გავლენა აქვს პროექტის ბიუჯეტზე, შემოსავლის მიღების ვადებზე და საერთო მიწოდების ვალდებულებებზე. არსებობს დაგვიანების შესაძლებლობა პროექტის სამშენებლო ფაზაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გაზრდილი ხარჯები, შემოსავლის მიღების გადავადება და პოტენციური ჯარიმები. ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში მსგავსი შეფერხებები ხშირად გამოწვეულია არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პორობებით, მოულოდნელი გეოლოგიური სირთულეებით, ნებართვებთან დაკავშირებული დაბრკოლებებით, მომარაგების ჯაჭვის შეფერხებით ან კონტრაქტორების მიერ საქმის არასათანადო შესრულებით. კომპანია ამ რისკს ამცირებს მტკიცე პროექტის მართვის პრაქტიკის დანერგვით, გამოცდილ კონტრაქტორებთან თანამშრომლობით, მკაფიო მონახაზების განსაზღვრით და მარეგულირებელ ორგანოებთან და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კოორდინაციით.
- **მარეგულირებლისა და პოლიტიკური გარემოსთან დაკავშირებული რისკები** – აღნიშნული რისკი გულისხმობს მარეგულირებლი გარემოს ცვლილებების შესაძლებლობას. ასეთმა ცვლილებამ შესაძლოა კომპანიას დამატებითი ხარჯები დაუწესოს, ან საქმიანობის გარკვეული შეზღუდვები გამოიწვიოს. გარდა ამისა, აგრესიულმა პოლიტიკურმა მოქმედებებმა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კომპანიის მდგრად ოპერირებას.
- **გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების რისკები** –
  - კლიმატის ცვლილების გავლენა: წყალზე ხელმისაწვდომობის ცვლილება შესაძლოა პირდაპირ აისახოს ჰიდროენერგიის წარმოებაზე, რაც ოპერირების უწყვეტობისა და ფინანსურ რისკებს ქმნის. აღნიშნული რისკის შემცირების მიზნით, კომპანია გამოიყენებს ჰიდროლოგიური მოდელირების პროცესს, ინფრასტრუქტურული მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმებს და ადაპტაციური მართვის სტრატეგიებს, რაც ხელს უწყობს წყლის რესურსების ეფექტიან და მდგრად მართვას.
  - ბიომრავალფეროვნება და გარემოსდაცვითი შესაბამისობა: კომპანია უზრუნველყოფს გარემოსდაცვით რეგულაციებთან შესაბამისობას, რაც მოიცავს მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის უწყვეტობის შენარჩუნებას, თევზის მიგრაციისათვის საჭირო პირობების დაცვასა და ჰაბიტატების კონსერვაციას. აღნიშნული ვალდებულებების შესრულება

ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეგმის თანახმად, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით და ბუნებრივი ჩამონადენის სისტემატური მონიტორინგით, რაც ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების დაცვას და ადგილობრივი ეკოსისტემის მდგრადობას.

– სოციალური საკითხები და თემებთან ურთიერთობა: შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" პრიორიტეტულად განიხილავს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, რათა უპასუხოს ადგილობრივი საზოგადოებების გარემოსდაცვითი და სოციალურ ზეგავლენასთან დაკავშირებულ საკითხებს.

რისკების მართვა და ზედამხედველობა

კომპანიაში დანერგილია სტრუქტურირებული რისკების მართვის გამჭვირვალე ჩარჩო, რომლის მიზანია ფინანსური სტაბილურობის, ოპერირების უწყვეტობისა და მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვა.

პასუხისმგებლობის განმტკიცებისა და რისკების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად, კომპანიის მასშტაბით რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და შემცირების პროცესს ხელმძღვანელობს რისკების მენეჯერი. აღნიშნულ პირის ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. ის მოქმედებს დამოუკიდებლად, რათა უზრუნველყოს რისკების მიუკერძოებელი და ობიექტური ზედამხედველობა.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ში რისკების მართვა ემყარება შემდეგ სტრუქტურას:

- **სამეთვალყურეო საბჭო:** უზრუნველყოფს რისკების მართვის სტრატეგიულ ზედამხედველობას, რათა რისკების მართვის პოლიტიკა შეესაბამებოდეს კორპორატიულ მიზნებს.

რისკების მენეჯერი: კომპანიის დირექტორი ასრულებს რისკების მენეჯერის როლს. მას აქვს შესაძლებლობა რისკების მართვის პასუხისმგებლობა გადააბაროს მენეჯერებს. თუმცა, აღნიშნული როლი, შესაძლებელია ასევე დადგინდეს სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ოპერირების პროცესის თანმიმდევრულობა და რისკის მართვის გაძლიერებული მიდგომა. რისკების მენეჯერის ფუნქციებში შედის კომპანიისთვის რელევანტური რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, სცენარების მოდელირება და კომპანიის შიდა რისკების მართვის ჩარჩოსა და, საჭიროების შემთხვევაში, მარეგულირებლის მოთხოვნების დაცვა. რისკების მენეჯერის ფუნქცია მოიცავს კომპანიისათვის რელევანტური რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას, სცენარების მოდელირებას, კომპანიის შიდა რისკების მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობას. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, მას ევალება მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, რათა ეფექტიანად უპასუხოს ადგილობრივ საზოგადოებებში არსებულ გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს.

- მმართველობა და ეთიკური სტანდარტები – კომპანია მოქმედებს კორპორაციული მმართველობის უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და კორუფციის საწინააღმდეგო რეგულაციებთან სრულ შესაბამისობას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პასუხისმგებლიან და ეთიკურ ბიზნესგარემოს.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის რისკების მართვა ეფუძნება მკაფიო ანგარიშვალდებულებასა და პრევენციულ სტრატეგიებს.

სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს, რომ რისკების მართვა ორგანულად არის ინტეგრირებული კორპორაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც აძლიერებს კომპანიის მდგრადობასა და სტრატეგიულ წინდახედულობას.

რისკების მართვის პოლიტიკა აწესრიგებს რისკების იდენტიფიკაციის, ანგარიშგების, ესკალაციისა და რეაგირების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს დროულ და ეფექტიან მართვას.

რისკების სცენარების ანალიზი უზრუნველყოფს შესაძლო საფრთხეების დროულ იდენტიფიცირებას, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს გაატაროს პრევენციული ზომები, შეამციროს პოტენციური ზემოქმედება და უზრუნველყოს ოპერირების გრძელვადიანი მდგრადობა.

4. ლობირება და სავაჭრო ასოციაციები

შპს "სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" წარმოადგენს საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციის (GREDA) წევრს. აღნიშნული ასოციაცია წამყვანი სექტორული გაერთიანებაა, რომელიც საქართველოს მთავრობასთან პარტნიორობით მუშაობს ენერგეტიკისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიმართულებით, მათ შორის - ლობირების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ შპს "სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" უშუალო პოლიტიკურ ლობირებაში არ მონაწილეობს, GREDA-ს წევრობა კომპანიას აძლევს სტრუქტურირებულ და ეფექტიან პლატფორმას პოლიტიკის ფორმირების პროცესში ჩართულობისათვის და ისეთ მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნის ხელშესაწყობად, რომელიც ხელს უწყობს განახლებადი ენერგიის მდგრად განვითარებას. აღნიშნული პარტნიორობა აღიარებულია როგორც არაპირდაპირი ზემოქმედების მექანიზმი შპს "სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" -ს მდგრადობის ანგარიშგების ფარგლებში და წარმოადგენს კომპანიის გამჭვირვალე, პასუხისმგებელი და სტრატეგიულად გააზრებული თანამშრომლობის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც სცდება მისი უშუალო ოპერაციული საქმიანობის ფარგლებს და სრულად შეესაბამება გრძელვადიანი ღირებულების შექმნის მიზნებს.

5. კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური გასაჯაროება (TFCD)

მმართველობა

- სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად უწევს ზედამხედველობას კლიმატთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებს და საბჭოს სხდომებზე რეგულარულად იღებს განახლებებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი გუნდის მენეჯერისგან. ამგვარი მუდმივი ზედამხედველობა უზრუნველყოფს, რომ ბახვი 1 ჰესის კლიმატური ინიციატივები სრულად შეესაბამება ეროვნულ ენერგეტიკულ მიზნებს, მდგრადობის სტანდარტებსა და კომპანიის გრძელვადიან ხედვას.
- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის გუნდი მჭიდროდ თანამშრომლობს კომპანიის დირექტორთან, ოპერირების, ფინანსების და შრომის უსაფრთხოების გუნდებთან, რათა ეფექტიანად მართოს კლიმატური რისკები. გუნდი პასუხისმგებელია ისეთი მიმართულებების ზედამხედველობაზე, როგორიცაა წყლის მართვა, ენერგოეფექტურობა, ემისიების შემცირება და ნარჩენების მართვა. გუნდი ასევე ადგენს მიზნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისობას საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტების მოთხოვნებთან და ხელს უწყობენ კომპანიის მდგრადობისა და გამძლეობის გრძელვადიან მიზნებს.

სტრატეგია

- კლიმატთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები:

- **მოკლევადიანი (1-3 წელი):** გამკაცრებული ემისიების კონტროლის მიმართულებით ახალი რეგულაციების შესრულება და ოპერაციების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება თანამედროვე ტექნოლოგიებისა და პროცესების ოპტიმიზაციის საშუალებით.
- **საშუალო ვადიანი (3-10 წელი):** ნალექის განაწილებაში ცვლილებებზე ადაპტაცია, რაც შეიძლება გავლენას ახდენდეს წყლის ნაკადსა და ელექტროენერგიის გენერაციის სიმძლავრეზე.
- **გრძელვადიანი (10+ წელი):** ჰიდროლოგიური ცვლილებებისა და პოტენციური ექსტრემალური ამინდის მოვლენებისთვის მზადყოფნა მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნითა და მოწინავე ტექნოლოგიებში ინვესტირებით, რაც უზრუნველყოფს ოპერაციების სტაბილურობასა და მდგრადობას.

<u>რისკების მართვა</u>

- კლიმატური რისკების შეფასება მოიცავს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ჰიდროლოგიურ ანალიზს და სცენარების მოდელირებას. აღნიშნული მიდგომა ასევე მოიცავს მიწოდების ჯაჭვში არსებულ რისკებს, რაც ხელს უწყობს კომპანიის მდგრადობის გაძლიერებას და კლიმატური რისკების ყოვლისმომცველი მართვის უზრუნველყოფას.
- კლიმატური რისკების მართვის პროცესები:
  - თანამედროვე წყლის მონიტორინგის სისტემები გამოიყენება, რაც უზრუნველყოფს მდინარე ბახვისწყლის ბუნებრივი ჩამონადენის ეფექტურ კონტროლსა და წყლის მდგრად გამოყენებას.
  - ნაგებობები და ფერდობები გამაგრებულია ისე, რომ გაუძლოს ექსტრემალურ ამინდის პირობებს. ოპერირების უწყვეტობა კლიმატური პირობების მიუხედავად, უზრუნველყოფილია.
  - კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვა ხორციელდება კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასების, გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე, რათა უზრუნველყოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება. თანამედროვე წყლის მონიტორინგის სისტემები, მათ შორის დონმზომი სადგურების გამოიყენება მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის მუდმივი მონიტორინგისთვის.

<u>პარამეტრები და მიზნები</u>

- მონიტორინგის პარამეტრები: ბახვი 1 ჰესის ძირითადი მდგრადობის პარამეტრები მოიცავს შემდეგს:
  - წყლის მოხმარება და დინების მაჩვენებლები: აკონტროლებს წყლის მოხმარების ტენდენციებს და ეკოლოგიური ხარჯის გატარების შესაბამისობას, რაც უზრუნველყოფს ოპერირების ეფექტიანობას და რესურსების მდგრად გამოყენებას.
  - ენერგოეფექტურობა: ზომავს ენერგიის მოხმარების გაუმჯობესების მაჩვენებლებს, რაც ხელს უწყობს ხარჯეფექტურ და მდგრად ოპერირებას.
  - პირდაპირი, არაპირდაპირი და სხვა არაპირდაპირი ემისიები (Scope 1, Scope 2 და Scope 3):
    - პირდაპირი ემისიები (Scope 1): მოიცავს ემისიებს, რომლებიც წარმოიქმნება კომპანიის საკუთრებაში არსებული ან მისი კონტროლირებადი წყაროებიდან.
    - არაპირდაპირი ემისიები (Scope 2): მოიცავს შეძენილი ელექტროენერგიის მოხმარებით გამოწვეულ ემისიებს.

- სხვა არაპირდაპირი ემისიები (Scope 3): მოიცავს მიწოდების ჯაჭვიდან, გარე სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა არაპირდაპირი აქტივობებიდან წარმოქმნილ ემისიებს.

<u>კლიმატთან დაკავშირებული მიზნები:</u>

- **ნახშირბადის ემისიები:** პირდაპირი (Scope 1) და არაპირდაპირი (Scope 2) ემისიების შემცირება 30%-ით 2030 წლისთვის, რაც ხელს უწყობს კომპანიის მდგრადობის პრიორიტეტებს.
- **ენერგოეფექტურობა:** შიდა მოხმარების ელექტროენერგიის გამოყენების შემცირება.
- **წყლის კონსერვაცია:** ბახვი 1 ჰესის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ გარემოსდაცვითი ნებართვებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის გატარება ქვედა ბიეფში, მდინარის ბუნებრივი დინების შენარჩუნებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით. ჰიგიენური მიზნებისა და სასმელი წყლის მოხმარება, უნდა შეესაბამებოდეს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტებს და თანხვედრაში იქნება წყლის დაზოგვის ხელშემწყობ ინიციატივებთან. თანამშრომლები გაივლიან სპეციალურ ტრენინგებს წყლის მიზნობრივი და დაზოგვითი გამოყენების შესახებ, რაც მოიცავს ისეთ პრაქტიკებს, როგორიცაა ონკანების დაკეტვა მათი არა-აქტიური გამოყენების დროს.

ამ მიზნების მიღწევის პროგრესი რეგულარულად გადამოწმდება და დეტალურად აისახება ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის წლიური მდგრადობის ანგარიშში. აღნიშნული პროცესი აძლიერებს სადგურის პასუხისმგებლიანი, გამჭვირვალე და მდგრადი ოპერირებისადმი ერთგულებას განახლებადი ენერგიის სექტორში.

6. მმართველობის სახელმძღვანელოს აღსრულება

მმართველობის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი პროცესი აქტიურად ხორციელდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას კორპორაციული მართვის პრინციპებთან, მარეგულირებლის მოთხოვნებთან და საუკეთესო პრაქტიკებთან სრული შესაბამისობა.

სახელმძღვანელო ექვემდებარება რეგულარულ გადახედვასა და პერიოდულ განახლებას, რათა მოერგოს მმართველობის სტანდარტების, ოპერირების საჭიროებებსა და ინდუსტრიის განვითარების დინამიკას.

სახელმძღვანელოს გადახედვა ხორციელდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ. ცვლილებების დამტკიცება წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობას, რათა შენარჩუნდეს მისი აქტუალობა და ეფექტიანობა შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ის მმართველობით ჩარჩოში.

7. მმართველობის სახელმძღვანელოს ყოველწლიური გადახედვის პროცესი

საერთაშორისოდ აღიარებული კორპორაციული მმართველობის პრაქტიკის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად ახორციელებს მმართველობითი სახელმძღვანელოს გადახედვას, რათა უზრუნველყოს მისი შესაბამისობა კომპანიის ღირებულებებთან, სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და მმართველობით მოთხოვნებთან. აღნიშნული გადახედვის პროცესი მოიცავს არსებული მრავალფეროვნების მაჩვენებლების, ინკლუზიური სტრატეგიებისა და მმართველობითი ჩარჩოების შეფასებას.

თუკი გადახედვის პროცესში ცვლილებების შეტანის საჭიროება გამოიკვეთება,

სამეთვალყურეო საბჭო საფუძვლიანად განიხილავს და შეაფასებს მას. ცვლილებების მიღება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს წევრთა უმრავლესობის ფორმალური დამტკიცების გზით, რაც ხაზგასმით ადასტურებს კომპანიის ერთგულებას გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და საუკეთესო მმართველობითი პრაქტიკების მიმართ.

მმართველობითი სახელმძღვანელოს განახლებული ვერსია საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება კომპანიის ვებგვერდზე. მისი ძველი ვერსია კვლავ ხელმისაწვდომი რჩება ვებ გვერდზე, არქივის განყოფილებაში.

8. დანართი #1. სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვნების პოლიტიკა

შესავალი

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ (შემდგომში - „კომპანია“) გურიის რეგიონში, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ მდინარე ბახვისწყალზე ახორციელებს ჯამური 10.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1“ ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს. კომპანიის ინვესტორები არიან „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი“ (სი-სი-ი-ეიჩ), ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი“ და სხვა სპეციალიზებული ინვესტორები ავსტრიიდან და საქართველოდან. „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის“ ინვესტორები კი თავის მხრივ, არიან ცნობილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამერიკიდან და ევროპული ქვეყნებიდან (მათ შორის - ევროპის საინვესტიციო ბანკი [EIB], ჰოლანდიის განვითარების ბანკი [FMO], ავსტრიის განვითარების ბანკი [OeEB] და სხვა). აღსანიშნავია, რომ ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი“ ფლობს მრავალფეროვან ბიზნეს პორტფელს რამდენიმე დასავლურ ქვეყანაში.

ბახვი 1 ჰესის პროექტის განხორციელება დაგეგმილია გურიის რეგიონში, კერძოდ: ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მდ.ბახვისწყლის 1 735 და 1 383 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მდ.ბახვისწყლის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის მშენებლობა, რომლის შემადგენლობაში იქნება სათავე ნაგებობა, სადაწნეო მილსადენი და მიწისზედა ჰესის შენობა. ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება 10.9 მგვტ, ხოლო საპროექტო ხარჯი - 4მ3/წმ. სათავე ნაგებობა განთავსდება მდ.ბახვისწყლისა და მდ.ბაისურას ღელეს შესართავიდან 250 მ-ით ქვემოთ. შეტბორვის დონე იქნება ზღვის დონიდან 1731.70 მ, ხოლო ჰესის შენობის ქვედა ბიეფის ნიშნული ზღვის დონიდან იქნება 1383.0 მ. სათავე ნაგებობის განთავსების გეოგრაფიული კოორდინატებია X=275290; Y=4638195, ხოლო ჰესის შენობის განთავსების ტერიტორიის - X=272279; Y=4639129.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ საკუთარ საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების IFC-ისა და EIB-ის მიერ დადგენილი გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.

სამეთვალყურეო საბჭოს მოცემული მრავალფეროვნების პოლიტიკა ასახავს ჩვენს ვალდებულებას, ხელი შევუწყოთ მრავალფეროვანი და ინკლუზიური სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირებას, რათა მისი შემადგენლობა მოიცავდეს ფართო სპექტრის წარმომავლობის, შეხედულებებისა და გამოცდილების მქონე პირებს.

ძირითად ტერმინთა განმარტებები

სამეთვალყურეო საბჭო: შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის უმაღლესი მმართველი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებებს, კორპორაციულ მმართველობასა და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. სამეთვალყურეო

საბჭოს წევრებს ირჩევენ პარტნიორები საერთო კრების დროს. საბჭო უზრუნველყოფს კორპორაციული მმართველობის პრინციპების დაცვას და მხარს უჭერს კომპანიის გრძელვადიან წარმატებას.

მენეჯმენტი: შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის აღმასრულებელი გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვაზე, მათ შორის, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკების შესრულებაზე, ბიზნეს სტრატეგიების განხორციელებასა და ოპერირების ეფექტიანობის უზრუნველყოფაზე. მენეჯმენტი უზრუნველყოფს ეფექტიან გადაწყვეტილებებს და კომპანიის სტრატეგიული მიზნების შესრულებას.

პარტნიორები: ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც ფლობენ საკუთრების წილებს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ში და მონაწილეობენ კომპანიის უმაღლეს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში. პარტნიორებს აქვთ უფლებამოსილება, წარადგინონ და დანიშნონ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და გავლენა იქონიონ კომპანიის მნიშვნელოვან კორპორაციული მართვის საკითხებზე, რაც მის გრძელვადიან მიზნებს შეესაბამება.

აქციონერები: ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც ფლობენ შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის წილებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომპანიის მართვაში. ისინი შესაძლოა წარმოადგენდნენ ინსტიტუციურ ინვესტორებს, კერძო კაპიტალის ფონდებსა და სხვა ფინანსურ მხარეებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიის სტრატეგიული განვითარების მხარდაჭერას და ფინანსურ სტაბილურობას.

მიზანი

აღნიშნული პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს მკაფიო პრინციპები და მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის მრავალფეროვნების ხელშეწყობას. ჩვენი მიზანია, შევქმნათ საბჭო, რომელიც აერთიანებს მრავალფეროვან შეხედულებებს, უნარებსა და თვისებებს, რათა გავაძლიეროთ კომპანიის მმართველობის ეფექტიანობა და მართვის სტანდარტები.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები და უფლებამოსილების ვადის

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის სამეთვალყურეო საბჭო შედგება მაქსიმუმ ხუთი (5) წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პარტნიორების საერთო კრების დროს ირჩევიან სამ (3) წლიანი ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ვადის გასვლის შემდეგ, მისი უფლებამოსილება გაგრძელდება ახალი წევრის არჩევამდე, რაც უზრუნველყოფს მმართველობის უწყვეტობას. პარტნიორებს ერთობლივ კრებაზე აქვთ უფლებამოსილება, დააყენონ საკითხი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადაზე ადრე დასრულების შესახებ. თუ ნომინირებული წევრი გადადგება, გავა პენსიაზე ან დატოვებს თანამდებობას, შესაბამის პარტნიორს (პარტნიორებს) ენიჭება უფლებამოსილება, წარადგინოს მისი შემცვლელი. პარტნიორები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ აღნიშნული ნომინანტის დროული დანიშვნა და რატიფიკაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრად.

სამეთვალყურეო საბჭოს კანდიდატების ნომინირების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებსა და მრავალფეროვნების ფაქტორებს:

გამჭვირვალობა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ნომინირება განხორციელდება სრულად გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში. სამართლიანი და ობიექტური შერჩევის უზრუნველსაყოფად, თითოეულ კანდიდატს წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია ნომინაციის კრიტერიუმებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ.

დამსახურებაზე დაფუძნებული შერჩევა

კანდიდატი ფასდება მისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და კომპანიის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ მრავალფეროვნების ფაქტორი შერჩევის პროცესის განუყოფელი კომპონენტია.

ინკლუზიური შერჩევის პროცესი

სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად ეძებს მრავალფეროვანი წარმომავლობის მქონე კანდიდატებს ფართომასშტაბიანი და ინკლუზიური შერჩევის პროცესის ფარგლებში. აღნიშნული პროცესი მოიცავს პროფესიულ ქსელებსა და შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, რათა უზრუნველყოს მრავალფეროვნების პრინციპების დაცვა და შერჩევის პროცესში მათი სრული ინტეგრაცია.

შეფასება და ანგარიშგება

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები რეგულარულად განიხილავენ და აფასებენ მოცემული პოლიტიკის ეფექტიანობას, რომელიც მის მრავალფეროვნების უზრუნველყოფს. საბჭო, პარტნიორთა საერთო კრებაზე აქციონერებს მიაწვდის შესაბამის ანგარიშს, სადაც აღწერილი იქნება მიღწეული პროგრესი და შესაძლო გაუმჯობესების მიმართულებები.

მრავალფეროვნების ფაქტორები

სამეთვალყურეო საბჭოს კანდიდატების შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იქნება შემდეგი მრავალფეროვნების ფაქტორები:

- *<u>პროფესიული გამოცდილება და კომპეტენცია</u>*
    - პროფესიული გამოცდილების მრავალფეროვნება, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ისეთი სფეროებით, როგორიცაა ფინანსები, იურიდიული საკითხები, ტექნოლოგიები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სფერო, მარკეტინგი, ოპერაციების მართვა და ადამიანური რესურსები.
    - ინდუსტრიებში გამოცდილება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება კომპანიის საქმიანობის სფეროს
- *<u>გენდერული მრავალფეროვნება</u>*
    - სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში გენდერული ბალანსის უზრუნველყოფა და გენდერული მიკერძოების აღმოფხვრა
- *<u>ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება</u>*
    - მრავალფეროვანი ეთნიკური და კულტურული წარმომავლობის მქონე წარმომადგენლობის ხელშეწყობა, რათა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა უკეთ ასახავდეს კომპანიის მასშტაბურ საქმიანობასა და მომხმარებელთა მრავალფეროვნებას
- *<u>გეოგრაფიული მრავალფეროვნება</u>*

- რეგიონული მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, რათა სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებული იყოს განსხვავებული გეოგრაფიული არეალების წარმომადგენლებისგან, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბაზრების სპეციფიკის უკეთ გააზრებას და დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინებას.

დასკვნა

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ში ვცდილობთ უზრუნველვყოთ, რომ სამეთვალყურეო საბჭო სრულად ასახავდეს იმ საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების მრავალფეროვნებას, რომელთა ინტერესებსაც წარმოვადგენთ. მრავალფეროვნების ყველა შესაძლო ფორმის აღიარებითა და მხარდაჭერით, ვაძლიერებთ კომპანიას, რაც შესაძლებლობას გვაძლევს მაქსიმალურად ეფექტიანად გავუმკლავდეთ გამოწვევებს და გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვქმნით გრძელვადიან და მდგრად ღირებულებებს როგორც აქციონერებისთვის, ასევე მთლიანად საზოგადოებისთვის.

სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვნების პოლიტიკის ყოველწლიური გადახედვის პროცესი

საერთაშორისოდ აღიარებული კორპორაციული მმართველობის პრაქტიკის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად ახორციელებს საბჭოს მრავალფეროვნების პოლიტიკის გადახედვას, რათა უზრუნველყოს მისი შესაბამისობა კომპანიის ღირებულებებთან, სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და მმართველობით მოთხოვნებთან. აღნიშნული გადახედვის პროცესი მოიცავს არსებული მრავალფეროვნების მაჩვენებლების, ინკლუზიური სტრატეგიებისა და მმართველობითი ჩარჩოების შეფასებას.

თუკი გადახედვის პროცესში ცვლილებების შეტანის საჭიროება გამოიკვეთება, სამეთვალყურეო საბჭო საფუძვლიანად განიხილავს და შეაფასებს მას. ცვლილებების მიღება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს წევრთა უმრავლესობის ფორმალური დამტკიცების გზით, რაც ხაზგასმით ადასტურებს კომპანიის ერთგულებას გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და საუკეთესო მმართველობითი პრაქტიკების მიმართ.

სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვნების პოლიტიკის განახლებული ვერსია საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება კომპანიის ვებგვერდზე. მისი ძველი ვერსია კვლავ ხელმისაწვდომი რჩება ვებ გვერდზე, არქივის განყოფილებაში.